საქართველო
საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

N 53 2300
10/08/2020

საჩხერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზაციის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 118–ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“, საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 ივნისის #54 26 განკარგულების „საჩხერის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 მარტის #54 15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61–ე მუხლის საფუძველზე ვბრძანებ:

1. განხორციელდეს საჩხერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზება- ტრანსპორტის სარეგისტრაციო ნომერი A GG083JJ; მარკა MAZ, მოდელი-63170; სატრ. საშ. საიდენტიფიკაციო ნომერი Y3M631705E0002270; გამოშვების წელი 2014; ფერი ყვითელი 6/8; ტიპი სპეციალური; ძრავის მოცულობა 14860; საწვავის ტიპი ან ენერგიის წყარო დიზელი; აუდიტორული შეფასების საფუძველზე საწყისი გასაყიდი ფასი 70203.00 ლარი, „ბე“ და ბიჯი გასაყიდი ფასის 10–10 პროცენტი, მონაწილის ბილეთის ფასი 20 ლარი.

2. ელ-აუქციონის დაწყების დროდ განისაზღვროს 2020 წლის 14 აგვისტო 12:00 საათი და დასრულების დროდ ამავე წლის 21 აგვისტო 12:00 საათი.

3. ბრძანება გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს და სააუქციონო კომისიას.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 21 ივლისის N53 2113 ბრძანება „საჩხერის მუნიციპალიტეტის ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზაციის შესახებ“.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, კანონით დადგენილი წესით, საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.საჩხერე, დ.აღმაშენებლის ქუჩა #3).

ბენიამენ ფალავანდიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი